

COVID-19 პანდემიის დასასრულის მიზეზების შეფასება:  
ვაქცინაციისა და საზოგადოებრივი იმუნიტეტის როლი

მარიამ სადუნიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და  
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

*ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი  
ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2022 წელი

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

მარიამ სადუნიშვილი

01.07.2022

## აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა COVID-19 პანდემიის დასრულების გზების შესახებ. აღნიშნული იდენტიფიცირდება, უმთავრესად ორი კომპონენტის ურთიერთქმედებით: ვაქცინაციის პროცესი და საზოგადოებრივი იმუნიტეტი, რომელიც კორონავირუსის ცირკულირების შედეგად გამომუშავდა ფართო პოპულაციებში.

ნაშრომი მცდელობაა რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისა და სფეროს სპეციალისტების მხრიდან მოცემული დებულების გარშემო გამოხატული პოზიციების შეფასებისა და შეჯამებისა. ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შეიქმნა თეორიული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა რელევანტური მიდგომა კვლევისთვის.

კვლევის ჩატარება მოხდა COVID-19 პანდემიის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ. შესაძლოა, ეს არ იყოს საკმარისი დრო კონკრეტული შედეგების გასაანალიზებლად და სწორი დასკვნების გამოსატანად, რადგან ჯერ კიდევ მსოფლიოს ვირუსთან ერთად უწევს თანაცხოვრება. თუმცა, კვლევის მიზანს წარმოადგენდა პანდემიის აღნიშნულ ეტაპზე შეფასებულიყო საუკეთესო მიდგომები, რაც შესაძლებელს გახდიდა საქართველოსთვის სასურველი შედეგის სწრაფად დადგომას. ნაშრომში მოხდა, როგორც თეორიული საფუძვლების გამოკვეთა საკითხის შესასწავლად, ისე პრაქტიკოსი ექიმების გამოცდილებით მიღებული ცოდნის გაზიარება.

## Abstract

The paper discusses ways to end the COVID-19 pandemic. This is identified mainly by the interaction of two components: the vaccination process and the public immunity produced by the circulation of the coronavirus in large populations.

The paper is an attempt to review the relevant scientific literature and to evaluate and summarize the positions expressed by specialists in the field around the given provision. Based on a review of the literature, a theoretical framework was developed to define a relevant approach to research.

The study was conducted three years after the onset of the COVID-19 pandemic. This may not be enough time to analyze specific results and draw the right conclusions, as the world is still coexisting with the virus. However, the aim of the study was to evaluate the best approaches at this stage of the pandemic, which would enable Georgia to achieve the desired result quickly.

The paper both outlined the theoretical foundations for exploring the issue and shared knowledge gained from the experience of practicing physicians.